# ივერია

სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1892 1877—1892

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.


## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


მაქვს პატივი გამოვუცხადო მოსწავლეთა მშობლებს, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში ეგზამენები დაიწყება 15 და სწავლა 19 ენკენისთვეს.

ინსპექტორი სასწავლებლისა ვ. ყიფიანი



ვისაც ჰსურს ქართულ თეატრში სამსახური ამ მომავალ $18^{92}/_{93}$ წ. სეზონში კეთილ ინებონ და მიჰმართონ ბ-ნ ვასილ სულხანიშვილს.

ტფილისი, რეუტოვის ქუჩა, № 10. ყოველ დღე, საღამოს 6—7 საათზედ.

(10)


### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

თბილისის მუსულმანთა სამკურნალოში 31 აგვისტოს 1 ავადმყოფი იყო; კიდევ მიიყვანეს მირზა-რაფა-მირზა-კამაბ-ოღლი (6 ნაწილი). გარდაიცვალა ანნა ოსეფოვისა, რომელსაც შინა სწამლობდნენ.

ახალქალაქის მაზრა: 20—22 აგვისტოს სოფ. გუმურდოს ავად გახდა 1, გარდ. 2; ჭანდურს ავად გახდა 10, გარდ. 4; კანდურს ავად გახდა 3; ვაჩიანს ავად გახდა 16, გარდ. 9, ავად არის 25; მამზარას ავად გახდა 11, გარდ. 1;

სულდას ავად გახდა 7, გარდ. 1; ხანდოს ავად გახდა 3, გარდ. 1; ალასტანს ავად გახდა 10, გარდ. 6; ბალოხოს ავად გახდა 3, გარდ. 2; ბარალეთს ავად გახდა 13, გარდ. 5; ბუგაშენს გარდ. 1; ჯიგრაშენს გარდ. 8; ორაჯალარს ავად გახდა 10, გარდ. 1; კორხს გარდ. 2; ორჯას ავად გახდა 4.

გორის მაზრა: 25—29 აგვისტოს სოფ. კარბში ავად გახდა 5, გარდ. 4, დიდსა და პატარა მეჯვრისხევსა და ზერთში ხოლერით ავად აღარავინ გამხდარა. ტყვიავში გარდ. 4, მორჩა 2, ავად აღარავინ გამხდარა; ქვემოჭალას გარდ. 3; კირბალს ავად გახდა 4; უკუღმა-სოფელში ხოლერა მოისპო.

ახალქალაქის მაზრის უფროსი იუწყება: 29 აგვისტოს სოფლად ავად გახდა 16, გარდ. 11, მორჩა 12, ავად არის 71. ქ. ახალქალაქს ავად გახდა 1; 30 აგვისტოს სოფლად ავად გახდა 9, გარდ. 6, ავად არის 74; ახალქალაქს ავად გახდა 5, გარდ. 1, კიდევ ავად არის 7.

## ახალი ამბავი

*** ბაქოს გუბერნიაში 28 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდ. 4, მორჩა 3, ავად არის 6.

განჯის გუბერნიაში 27—28 აგვისტოს ავად გახდა 162, მორჩა 88, გარდ. 106, ავად არის 53.

შურაში 28 აგვისტოს ავად იყო 4; მთელს ოლქში ავად გახდა 55, გარდ. 21, მორჩა 46, ავად არის 477.

სტავროპოლში ავად გახდა 5, გარდ. 3, მორჩა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 373, გარდ. 166, მორჩა 232.

ზაქათალის ოლქში ავად გახდა 9, გარდ. 4, ავად არის 37.

ერევანში 26—27 აგვისტოს ავად გახდა 6, გარდ. 5, მორჩა 11, ავად არის 15; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 26, გარდ. 17, მორჩა 29, ავად არის 251.

ყარსში ორი დღის განმავლობაში ავად გახდა 21, მორჩა 28, გარდ. 11, ავად არის 61.

*** რადგანაც ხოლერამ ტფილისში ბოლოს დროს ძლიერ იკლო, ამიტომ ტფილისის პოლიციმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რომ პოლიციის მოხელეებს გამოერთვათ ის წამლები, რომლებიც ხოლერის დროს ჰქონდათ დარიგებული.

*** ტფილისიდგან ცხინვალში გაგზავნილი ბოქაული ბ-ნი ლოლაძე უკვე დაბრუნდა ტფილისში. და ბ-მა გუბერნატორმა ისევ გაგზავნა 1 ენკენისთვეს ახალციხეში იქაურის მაზრის უფროსის დასახმარებლად, რადგანაც იქ, როგორც იუწყებიან, ამ ჟამად ხოლერა ძლიერ მძვინვარებს.

*** ქალაქის მოურავმა 31 აგვისტოს მიიღო შემდეგი დეპეშა ბაქოს ქალაქის მოურავისაგან: აქ ხოლერა შესწყდა. სპარსეთს შავი ჭირი არცა ყოფილა და არც ეხლა არისო.

*** კავკასიის მთავარ-მმართებელის კანცელარია, ოლქის სამმართველო და სხვა დაწესებულებანი, რომელიც ზაფხულობით კოჯორში იყო გადატანილი, ისევ გადმოვა ტფილისს ამა ენკენისთვის 10-ში. ამავე დროს დაბრუნდება ქ. ტფილისს კავკასიის მთავარ-მმართებელის თანაშემწეც.

*** გორის მაზრიდგანა გვწერენ, რომ საციციანოში ტყე იწვისო. ხალხი იქ წავიდა ცეცხლის გასაქრობად და ლეწვა ისევ შეჩერებულია.

*** ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით ქ. ახალციხეს კიდევ გაგზავნილ იქმნა სამი ფერშალი: ორი კაცი და ერთიც ქალი, ხოლერის წინაამდეგ საბრძოლველად. ეს ფერშლები 28 აგვისტოს უკვე გაემგზავრნენ დანიშნულს ალაგას.

*** ხარკოვიდგან გაგზავნეს მოსკოვით აღმოსავლეთ ციმბირში 113 პატიმარი. მათ შორის იმყოფება ტფილისის გამომძიებელად ნამყოფი ალექსანდრე ბუღდანას ძე ხოსროევი, რომელიც 1889 წელს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაასამართლა და 8 წლით კატორგა მიუსაჯა მისთვის, რომ თავის ქონებას ცეცხლი წაუკიდა, რათა დამზღვევებელ საზოგადოებისაგან ფული მიეღო. ხოსროევი აქამდე ხარკოვის საპატიმროში იმყოფებოდა თურმე და მხოლოდ ეხლა გაისტუმრეს ციმბირს.

*** ჩვენის გაზეთის დღევანდელს ნომერში დაბეჭდილია წერილი რედაქციის მიმართ ტომსკის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებისა, რომელთაც განუზრახავთ ქართულის ბიბლიოტეკის დაარსება უნივერსიტეტთან. იმედია, ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება მათ განზრახვას.

*** ბუჟათუბნის საზოგადოება: 8 აგვისტო. ამ რამდენიმე დღის წინად სოფელს წიფაში გარდაიცვალა ხოლერის მსგავსი ავადმყოფობით გლეხი ლომსაძე. ასეთივე ავადმყოფობით გარდაიცვალა იმისი ვაჟი. ხალხი შეშინდა და მოსცილდა იმ უბანს, სადაც მიცვალებულები სცხოვრობდნენ. სოფლის ცრუ-მორწმუნე და ჭორიკანა დედაკაცები გაიძახიან: „დოხტურმა ძალით მოკლაო ავადმყოფები!“ და ძალიან ემდურებიან მღვდელს მამა ლევ. გაჩეჩილაძეს, რომელმაც თვისის მოვალეობისამებრ აცნობა მთავრობას საეჭვო ავადმყოფობის გაჩენა თავის მრევლში. ბ-ნმა ხარაგაულის ბოქაულმა ა. წერეთელმა სწრაფლად მოახდინა განკარგულება, მოეზიდათ დაუშლელი კირი და წიფელებს სახლები ამ კირით შეაფრქვევინა. დღეს ამ სოფელში ღვთით მშვიდობა არის. ვინ იცის, ეგებ ბ-ნ ბოქაულის მეცადინეობამ დაიხსნას ეს სოფელი ხოლერისაგან, რომელიც იქვე ახლო სურამში არის ამ ჟამად. 6 აგვისტოს

## ფელეტონი

### ჩვენი უთავბოლობა

ხალხის ქონება-გონების გამამდიდრებელი სათავე.

### III*)

ეხლა ცხადად ვიცით, ვისი ვალია პირველ-სანიმუშო დეპო-კასის განხორციელება, ვიცით აგრეთვე, რა გზით უნდა გავრცელდეს საქართველოს კუთხეებში დეპო-კასები, რა კაცები უნდა აწარმოებდნენ და ვინ უნდა იყვნენ მათი გამგენი. მოვალე ვარ დაპირებისამებრ მოგახსენოთ ისიც, თუ რა გვარად უნდა დადგინდეს აღებ-მიცემის სამოქმედო წესრიგი, რომ დეპო-კასების მწარმოებლებმა ვერაში იხელმრუდონ დაფარულად, და თუ იხელმრუდონ, ისიც ვიცოდეთ, ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი თანხის ფულის მოწილეების წინაშე. შემნახველ-გამსესხებელ კასაში არ შეიძლება ისეთი ხელმრუდობა, რომელმაც ანგარიშის დროს თავი არ იჩინოს, დეპოში-კი ბევრნაირად შეიძლება უჩინარი ხელმრუდობა, მაგალითად: უვიც მუშტარს რომ ჯეროვანი 10 პროცენტის ბადლად მანათში 40 პროცენტი ახდევინონ, ის ვერას გაიგებს და სხვა. აი ამისათვის მიუცილებლად საჭიროა საქმე მკვიდრად შემოვიცხოთ და საღალატო ბილიკები ისე ხერხიანად გავიმაგროთ წინა დღითვე, რომ წრეს გადამსვლელი მოღალატე თავ-ლაფ დამსხმელს ხაფანგს ვერ ასცდეს.

მტკიცე წეს-რიგიანობის დაცვისათვის, ჩემის ფიქრით, შემდეგი წესები უნდა იყოს შემოღებული დეპოში: პირველად მოტანილ საქონლის თითოეულს ნივთს დაეწერება იარლიკზედ I რიცხვი და ამავე საქონლის ფორმალურ ნუსხებსაც დაუჯდება იგივე რიცხვი; შემდეგში, რამდენჯერაც-კი დეპო საქონელს მოიტანს, ვოველ გვარ სასყიდელს და იმის ნუსხებს დაეწერება იმ გვარადვე ჯერის რიცხვი: მეორედ მოტანილს—2, მესამედ მოტანილს—3 და სხვა. ხსენებული ნუსხები რიგზედ ჩაჰკერდება ყდაში და ეს ნუსხების კრებული თვალ-წინ ექნებათ მუშტრებს. ვინც-კი რა საქონელს ამოირჩევს სასყიდლად—იმას შეუძლიან გადაშალოს ან გადააშლევინოს ნოქარს ნუსხების კრებული და უცბად გაიგოს იმ საქონლის ნასყიდობის ფასი და წელიწადი მოტანისა. ხალხს წინა დღითვე ოფიციალურად გამოცხადებული ექნება, რა უნდა მოიგოს დეპომ მანეთში 10 თუ 15% და ნუსხის შემწეობით ადვილად გაიგებს წიგნის მცოდნე მუშტარი საქონელს, სწორედ აწერია გასასყიდი ფასი, თუ არა. მთლად გასყიდულის საქონლის სტრიქონი მოიშლება ნუსხაში. რაც შეეხება წიგნის არ მცოდნე მუშტრებს, იმათ შეუძლიანთ წიგნის მცოდნეთ გაასინჯონ ნუსხა ან საქონლის ზედ-წარწერილი ფასი და თუნდა ესეც არ იყოს, ყოველ მსყიდავს, წიგნიანს თუ უწიგნოს, მიეცემა დეპოსაგან ნასყიდობის (თუნდ ერთის შაურისა იყოს ნავაჭრი) ფორმალური ანგარიში, რომელშიაც თითოეულად იქნება მოხსენებული ყველა ნასყიდის სახელწოდება, ფასი და რაოდენობა ზომა-წონისა და მიღებულის ფულისა; ამ გვარად, უწიგნო მუშტარსაც ორივ საბლის წვერი ხელში ეძლევა: იმას ყოველგან და ყოველთვის შეუძლიან იგი ანგარიში შეადარებინოს წიგნიანს თავის ნასყიდობის ანგარიშთან და გაიგოს ფასში და ანგარიშში ხომ არ მოუტყუებიათ. და თუ მოუტყუებიათ რაშიმე, იმ ანგარიშს უჩვენებს რევიზორს ან გაჰგზავნის პირდაპირ მთელის საქართველოს დეპო-კასების უმთავრესს გამგეობაში. მაშასადამე, საღალატო ბილიკები მუშტრების მოტყუებისა მტკიცედ იქნება შემოღობილი, და სათოკე უნდა იყოს ადამიანი, რომ იშ ლობის გადაქყლეტა მოიწადინოს, რადგანაც დღეს არა—ხვალ თვალს შეასწრობენ გადაქყლეტილს ლობეს და გადამქყლეტელნი ქვეყნის თვალ-წინ იქნებიან თავ-ლაფ დასასხმელად.

შეიძლება რომელისამე დეპოს მოთავე ან მისი თანაშემწე ისეთი ღალატიანი კაცუნა გამოდგეს, რომ რა-კი ხსენებული ბილიკები შეკრული იქნება, ასეთი ხერხი იხმაროს საღალატოდ: ნარდად გამსყიდველებს ღირებულ ფასზედ მეტს დააწერინებს ნუსხაში და იმ ნამეტანებს საკუთარს ქისაში ჩაიჩხრიალებს; ამ ბოროტ-მოქმედების თავიდგან ასაცილებლად საჭიროა შემდეგი საშუალება: ყოველი დეპო ვალდებული იქნება საქონლის მოტანის უმალვე ყველა ახალ ნუსხების ასლი დეპო-კასების გამგეობას გაუგზავნოს, სადაც რევიზორები იმ ნუსხებს შეუდარებენ ერთმანეთს ნასყიდობის ფასებში და გაიგებენ ერთი და იგივე საქონელი ვის რა ფასად უყიდნია; შემდეგ, როდესაც რევიზიაზედ წავლენ, ყველა რევიზორი თან წაიღებს თავის საკუთვნო ნუსხებს დედნებთან შესადარებლად და მეტ-ნაკლებ ფასების მიზეზების გამოსაძიებლად. მეორეც ეს, მთელ დეპო-კასების გამგეობას, მწარმოებლებს და შეგნებულ ნაწილს მრევლისას—ყოველთვის ეცოდინებოდა სად რა და რა საქონელს რა დროს რა ფასი და მაზანდა აქვს საამისოდ დაარსებულ გაზეთის შემწეობით. და რაც შეეხება დეპოსაგან გასყიდულებში. ვეჯების აღებას (ღვინო, სულადი, აბრეშუმი და სხვა), ეს ყველას ეცოდინება ჩვეულებისამებრ, ღირსების დაკვალად, რა საქონელს რა ფასად იღებს დეპო, და იმაში სიმტყუნეს ვერ გაჰბედავდნენ დე-

*) იხ. „ივერია“, № 176.

ბეჟათუბნის დუქნებში უეცრად ავად გახდა პირის-ღებინებით და მუცლის ფაღარათობით გლეხი პეტრე ტალახაძე, თანაშემწე ბეჟათუბნის საზოგადოების მამასახლისისა. ამ გარემოებამ ძალიან შეაშინა ხალხი, რომელიც იმედ მიხდილი გაიძახოდა: „რაღა ვქნათ, ხოლერა გაჩნდაო, გავიხიზნოთო სადმე!“. მაგრამ ხალხის სასიხარულოდ, პეტრე ტალახაძე მალე მორჩა. თურმე ნუ იტყვით, იმისთვის ნედლს თევზს ეწყინა. თურმე რამდენიმე გლეხს, რომ ესიამოვნებინათ ერთი ნაბატონარისათვის, დაეკირა ბეჟათუბნის წყალი, რომელშიაც ბევრი კალმახი იცის. მამასახლისის თანაშემწე ლაზათიანად გამძღარიყო ნედლის თევზით და ამითი ავად გამხდარიყო. ასეთს საშიშარს დროს, როგორიც ეხლა არი, ისეთის მდინარის წყალის დაკირვა, რომელსაც ხალხი სვამს, სწორედ არაფრად მოსაწონია. აქაურს მამასახლისს ამისთვისაც და საზოგადოდაც ძალიან ემდურებიან. ბეჟათუბნის საზოგადოებაში დღეს კანტი-კუნტად სურთ იყოლიონ ისეთი მამასახლისი, რომელსაც ყოველ წლიური ჯამაგირი უნდა აძლიონ. ღმერთმა ჰქნას ეს სურვილი განეხორციელებინოთ.

*** კონდოლი: 23 აგვისტოს. დღეს ჩვენს სოფელში სცენის მოყვარეთ ბ. ბ. ო. ჰიკაძისა და კ. ჰელიძის თაოსნობით გამართეს ქართული წარმოდგენა აქაურის განძრახულ წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. ითამაშეს გ. ერისთავის კომედია „ძალათ ექიმი“. დივერტისმენტზედ წაიკითხეს ქართული ლექსები, სცენები და მონოლოგები. დასასრულს დასდგეს ცხოველი სურათები „სამშობლოდამ“. წარმოდგენამ ძალიან კარგად და მხიარულად ჩაიარა. სამწუხარო ის იყო მხოლოდ, რომ ხალხი ძლიერ ნაკლებად დაესწრო. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ვითომც აქაურს ერთ-ერთს მებატონეთაგანს სწორედ წარმოდგენის დროს სადამო გაემართოს და მთლად ის ხალხი დაეპატიჟნოს, რომელსაც წარმდგენაზედ მოელოდნენ. ამბობენ ეს სადამო იმიტომ მოიწადინაო, რომ წარმოდგენისთვის ხელი შეეშალნა, რადგანაც თვითონ წარმოდგენის გამართვის მოთავედ არ ითვლებოდაო. კარგი იქნება, ჩვენმა ქართველებმა ისეთს დროს მაინც დაანებონ თავი შურსა და ქიშპობას, როდესაც საქველ-მოქმედო რამ საქმე კეთდება და ნამეტნავად ისეთი საქმე, როგორიც არის „წიგნთ-საცავის“ დაარსება სოფლად.

*** გორი: გორში სრულებით აღარ არის ხოლერა, სამაგიეროდ სხვა ავადმყოფობა დაიწყო: ციებ-ცხელება, სისხლით ყვანა, საოფლე. დღემდის ყველანაირის ხილის ყიდვა აკრძალული იყო; იმ დღეს პირველის სასანიტარო განყოფილების მზრუნველმა მ—ა სამი ურემი საზამთრო გააბრუნა გორიდგან უკანვე; საზამთრო ჩამოეტანა ოსიაურიდამ თათარს-მებაღესა. ამ ჟამად-კი ქალაქის სამმართველომ ექიმთა ნება-დართვით გამოაცხადა, რომ ყველა ნაირს მწიფე ხილის გაყიდვის უფლება გეძლევათ, გარდა ნესვისაო.

*** იქიდამვე: ამ ხოლერობის დროს დიდი შემწეობა აღმოუჩინეს გორის ღარიბ ხალხს ექიმებმა ი. გ. საკოვმა და ჩ. რ. მოსტოვიჩმა. მოსტოვიჩი თავის ხარჯზით აძლევდა წამალს, რეცეპტებს, არ აკლებდა დარიგებას იმ უბანში, სადაც იგი სცხოვრობს. მართლაც მთელს იმ უბანში, თუმცა გარშემო ჰაობები აქვს და მრჩოლი ადგილია, ხოლერით ავად არავინ გამხდარა. ავადმყოფობის გამო არა ჰქონდა შეძლება აქეთ-იქით სიარულისა, თორემ ეს მადლიანი კაცი არაფერს დაზოგავდა. პატივცემული საკოვი მთელი დღე განუწყვეტლივ დადიოდა თავის ეტლით ხოლერიან ავადმყოფებთან, აძლევდა რეცეპტებს, სახლიდგან საჭირო წამლებს პირველ ხანებში მისაშველებლადო; უგზავნიდა ღარიბებს ჩაის, შაქარს, მოხარშულს წყალსა, წვენს (ბულიონს); ერთის სიტყვით, რაც-კი ღონე ჰქონდა, არ დაუზოგნია არც თავი და არც ჯიბე ხალხის საკეთილდღეოდ.

*** დირბი (გორის მაზრა) ჩვენშიაც იკლო ხოლერამ, რომელმაც ორმოცამდე კაცი იმსხვერპლა. დირბელების საქებურად უნდა აღვნიშნოთ შემდეგი საყურადღებო ამბავი: სადაც-კი, რომელ სოფელშიაც-კი გაჩნდა ხოლერა, ყველგან გაიქც-გამოიქცა, დაიხიზნა ხალხი, დირბშიკი არც ერთი სახლობა არ მოსცილებია სოფელსა. მუშაობა არ შეუწყვეტიათ; ავადმყოფს მორიდების ნაცვლად უვლიდნენ და რითიც შეეძლოთ სწამლობდნენ. დამარხვაზედ არ ერიდებოდნენ და ყველა მიცვალებულს ღირსეულად ჰმარხავდნენ. დირბი დიდი სოფელია, შედარებით აქ ბევრად ნაკლები დაიხოცა, მინამ სხვა ამაზედ პატარა სოფლებში. რასაკვირველია, როდესაც კაცი ბინას იცვლის, გარბის სხვაგან, იხიზნება, ის მოაკლდება ჩვეულებრივს ცხოვრებასა; დროზედ არ სძინავს, დროზედ სასმელ-საჭმელი არა აქვს, უალაგო ალაგას არის და შეძლება სახლის გარედ ნებას არ აძლევს თავის კუჭს რიგიანად უპატრონოს, ამიტომ გახიზნული ხალხიც ვერ გადურჩა ხოლერას და უალაგო ალაგას ჩაჰყარეს ძვლები.

*** გაზეთი „Кавказъ“-ი იუწყება, რომ მომავალ სეზონში სათავადაზნაურო ბანკის თეატრში, წარმოდგენები იქნება საოპერეტო და საბალეტო დასებისა ბ-ნ ფორკატის მეთაურობით.

*** გუმბრიდგან სწერენ გაზეთ „Т. Л.“-ს: ჩვენმა ერთმა მოქალაქემ კაპიტანმა სტრადოვსკიმ, როგორც უწყით, მოიგონა ხოლერის ელექსირი—კალგანი, რომლის შემწეობითაც მრავალი ხალხი გადაარჩინა ხოლერას. კაპიტანს სტრადოვსკის მრავალი წერილი მოსდის რუსეთისა და კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებიდგან და ამ წერილებით მადლობას უცხადებენ. ამას გარდა მკვიდრნი მცხოვრებიც, რომელთაც სწამლობდა და სწამლობს კიდეც კაპიტანი სტრადოვსკი, ყოველ დღე ოვაციებს უმართავენ ხოლმე და თითქმის მთელს დღეს მოქალაქენი და მახლობელ სოფლების მცხოვრებნი იკრიბებიან მის სახლის წინა და დილიდგან საღამომდე ზურნას უკრავენ. კაპიტანი სტრადოვსკი შეძლებული კაცია და ამიტომ, რითაც შეეძლო შველოდა ღარიბ ავადმყოფებს და თითონ ურიგებდა ხალხს ჩაისა, შაქარს, კონიაკსა და ფულსაც. ქ. გუმბრში-კი თავისისავე ხარჯით უფასო საჩაიე დააარსა. პირველად ხალხს სტრადოვსკის წამლობისა არა სჯეროდა-რა, მაგრამ შემდეგ ძლიერ ბევრი დარწმუნდა, რომ იმის წამალი მართლა რომ უვნებარი ყოფილა. მთავრობამაც არ დაუშალა სტრადოვსკის ხოლერიან ავადმყოფების წამლობა, რადგანაც დარწმუნდა, რომ იმისი წამალი სტომაქისთვის მავნებელი არ არისო. სასურველია, რომ ექიმებმა სტრადოვსკის-მიერ გამოგონილი წამალი გასინჯონ და შეამოწმონ, მართლა ისეთი უვნებარია ეს წამალი ხოლერის წინაალმდეგ, თუ არა.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი.)

ს. ნიკორწმინდა, 23 აგვისტო. ამას წინად მოგწერეთ, რაჭაში, სოფ. მოტყიარში ხოლერა გაჩნდა და პატრონი-კი არსად არის-მეთქი. მადლობა ღმერთს, ქუთაისის გუბერნატორმა შეიტყო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე გამოგზავნა ექიმი ბ-ნი სეგალი რაჭის მაზრაში. ექიმი მივიდა მოტყიარში და იხმარა ყოველი ღონე სენის მოსასპობად. ხელი შეუწყო რაჭის ჰავამაც მეცადინეობას და ამ ნაირად ხოლერამ მხოლოდ რვა ადამიანი იმსხვერპლა ამ სოფელში. მაგრამ ეხლა ამბობენ რაჭის სხვა სოფლებში დ. ონს ახლო გაჩნდა ხოლერაო და იმედია, იქაც მალე მოისპობა, რადგან ეხლა ექიმები და ფერშლები საკმაოდ არიან.

რაკი ხოლერის შიში ეხლა იმდენად აღარ არის, ცხოვრებამ აქ თავისი ჩვეულებრივი ფერი მიიღო და ძველმა საზოგადო საზრუნავმა ისევ იჩინა თავი. მოგახსენეთ და კიდევ მოგახსენებთ, რომ რაჭა ერთობ დაქვეითებულია სწავლა-ცოდნით. თამამად შეიძლება კაცმა სთქვას, რომ მთელს რაჭაში ერთი სკოლაც არ არსებობს. ზოგიერთს სოფელში არის ვითომც სამინისტრო და თუ სამრევლო სკოლები, მაგრამ ისინი მხოლოდ ქაღალდზედ არსებობენ, რადგან არც მოწყობილებია და არც მასწავლებლები ჰყავთ რიგიანი. თუ-კი რომელსამე რაჭველს უსწავლია რამე, სათოფედ არ ეკარება რაჭას და სხვაგან ეძებს ადგილს. აქ-კი მხოლოდ იმისთანანი სთანხმდებიან იმსახურონ, რომელნიც მარტო დროს წაპარებას სცდილობენ როგორმე. მერე რა არის ამისი მიზეზი? იქნება ჰგონია ვისმე, რომ რაჭველი ხალხი ღარიბია და საშუალება არა აქვს იზრუნოს, სარჩოს მოპოვების გარდა, კიდევ სხვა რამისათვისაო. შემცდარი იქნება, ვინც ამას იფიქრებს. რაჭისთანა შეძლებული თავად-აზნაურობა არა მგონია საქართველოს რომელსამე სხვა მაზრაში იყოს კიდევ. გლეხობაც უფრო მდიდარია სხვა მხრის გლეხობაზე. მაშ იქნება სურვილი არა აქვს რაჭველს სწავლა-განათლების მიღებისა? არა სურვილი-კი აქვს, მაგრამ მოთავე არა ჰყავს, წინამძღვარი და გზის მაჩვენებელი არავინ არის. რომ ეს ასეა, ცხადად ამტკიცებს 22 აგვისტოს ს. ნიკორწმინდაში მომხდარი მაგალითი.

ამ დღეს აქ მცხოვრების მღვდ. ი. შავლაძის სახლში იყო თავმოყრილი ბევრი საპატიო თავად აზნაური რაჭის მაზრისა, აქვე იყვნენ რაჭველი ნასწავლი ახალგაზდანი, რომელნიც საზაფხულოდ მოსულიყვნენ თავიანთ სამშობლოში. კრებას ადგილობრივმა ბლაღოჩინმა მღვდ. ნიკიფორე კანდელაკმა მიჰმართა, შემწეობა მომეცით ერთი რიგიანი სკოლა მაინც დაარსდეს რაჭაშიო. კრებაზედ იყო აგრეთვე დეკანოზი ქუთაისის ტაძრის გ. ცაგერეიშვილი. უკანასკნელმა აუხსნა საზოგადოებას ნიკორწმინდის ტაძრის მნიშვნელობა, მოაგონა აქ არსებული ოდესმე სასულიერო სასწავლებელი და სთქვა, თუ-კი ისურვებთ ამ ეკკლესიის მნიშვნელობის აღდგენას და დააარსებთ მის გვერდით სკოლას, მე ჩემის მხრით, როგორც თავსმჯდომარე ქუთაისის საეპარქიო სამასწავლებლო საბჭოსი, ყოველს

---

პოს მწარმოებელნი სწორედ ისე, როგორც ვერ გაჰბედავდნენ თაღლიობას ხსენებულ ვეჯების გასყიდვაში, რადგანაც დასახელებულ გაზეთის წყალობით და ისეც ყველასათვის უწყებული იქნება, რა დროს რა მაზანდა აქვს სხვა-და-სხვა ბაზრებში ყოველგვარ ნაწარმოებს.

დაგვრჩა მხოლოდ ერთი შეუკრავი ბილიკი, საიდგანაც შეიძლება მთელს დეპოს თანხას ჩაილულის წყალი დაალევინონ, მე მოგახსენებთ დახლზედ. გამოვარკვიოთ თავიდგან დეპოს მოთავე—ზედამხედველი იქნება იქნება იგივე დახლიდარი და მოთავის თანაშემწე—ბუხჰალტერი. მოთავის იქ არ ყოფნაში თანაშემწე გასწევს დახლიდრობასაც და თანაშემწის სხვაგან ყოფნაში მოთავე აასრულებს ბუხჰალტერის საქმესაც. მაშასადამე, როგორც მოთავე, ისეც მისი თანაშემწე ორნივ თანაბრად პასუხის მგებელნი იქნებიან მრევლისა და გამგეობის წინაშე. ნოქრები-კი იმათს ზედამხედველობის ქვეშ დარჩებიან და ისინი ვერც არას იხელმრუდებენ, თუ მათი ზედამხედველები ნამდვილი ზედამხედველები იქნებიან. ყველა ნოქარი თავის-მიერ გასყიდულ საქონელს დასწერს ფორმალურს ნუსხაზე, მერე გადაიღებს იმის ასლს ნუსხის გვერდზევე მობმულს ნუსხაზე, გამოართმევს მუშტარს ხვედრს ფულს და მიუტანს მოთავე-დახლიდარს, რომელიც შეამოწმებს ნუსხას, გაათავთავებს და ერთს ნოქარსავე დაუბრუნებს თავისაგან ხელ-მოწერილს მუშტრისათვის გარდასაცემად და მეორეს მიაწვდის თანაშემწე - ბუხჰალტერს დღიურ დავთარში შესატანად და შესანახად.

ყოველ თთვის ბოლოს დეპოს მოთავენი შეადგენენ თთვიურს ანგარიშებს შესავალ-გასავლისას და გაჰგზავნიან მის მეორე ასლს დეპო-კასსების გამგეობაში. რევიზორები სამს თთვეში ერთხელ დაათვალიერებდნენ თავის ნაწილის დეპო-კასსების დავთრებს, დეპო-კასსებისაგან დაარსებულ სკოლებს და სხვა სახალხო დაწესებულებებს. მუდამ წლის ბოლოს რევიზორები მოახდენდნენ დეპო-კასსების საძირკვლიანს ანგარიშს, თუ რა უვაჭრნია წლის განმავლობაში თითოეულს დეპოს, რამდენი ფული გაუსესხებია კასსას, რამდენი დახარჯულა, რამდენისა საქონელი უწყვია, რამდენად ღირებული ავეჯი (ინვენტარი) მოეპოება, რამდენი გაცემული ნისია აქვს, რამდენი ვალი ჰმართებს, რჩება წლიური ნავაჭრისა და გასესხებულის-და კვალად ყოველს მანათზე ჯეროვანი პროცენტები თუ არა და რა მდგომარეობაშია დეპოკასსებისაგან დააარსებული საერო დაწესებულებანი. ასეთი წლიური ანგარიშები იქნება წარდგენილი საქართველოს დეპო-კასსების ცენტრალურს გამგეობაში, რომელიც ჯეროვნად შეამოწმებს თთვიურს ანგარიშებთან, დაბეჭდვინებს ყველას ერთ კრებულად და დაურიგებს თითო ცალს დეპო-კასსებს, სამრევლოსაყოველთაო დაწესებულებებს და ყველა საპატიო კაცებს. კრებული მთელის გამგეობისა წელიწადში ერთხელ შემოუვლის საქართველოს დეპო-კასსებს და დეპო-კასსებისაგან დაარსებულ სკოლებს. სათაყვანო გამგეობას ყველგან ყველა მრევლი თავ-მოყრილი დაჰხვდება, სადაც გამგეობა ბევრს რასმე გამოიძიებს, გაიგებს და წარმოიტყვის თავის აზრს დეპო-კასსების შესახებ საყოველთაო საქმეების წარმატებისათვის. ზემოხსენებულსავე წეს-წყობილებას დაექვემდებარება როგორც სანიმუშო, ისეც მის შემდეგ მოყოლებული დეპოები.

მაშასადამე, დახლის გასაძარცვი ბილიკიც გადაღობილი ექნებათ დეპოს მაწარმოებლებს და მისი გადაჰყლეტა ნათლად გამოჩნდება წლიური ანგარიშის ბოლოს. ეხლა, უეჭველია, აქ ამას მიბძანებთ: თუ კი ისინი იქამდის ნამუსის ბეწვს გაიწყვეტენ, მერე ისისი გამოჩენა რაღას გვარგებსო. მაგრამ აი მე კიდევ რას მოგახსენებთ. ჯერ ერთი ეს, გამგეობა არ ამოირჩევს ისეთ გაუნათლებელ კაცებს დეპო-კასსების მოთავეებათ, რომ ქვეყანაში შერცხვენა, გამოსალმება და თავზე ლაფის დასხმა ჩირად მიაჩნდეთ; მეორეც ეს, იმათ მიეცემათ ღირსეული ჯამაგირი და რაღა გაჭირება ექნებათ ის მიუტევებელი საზიზღრობა ჩაიდინონ; და მესამეც ეს, ისინი იქმნებიან აღმასრულებელნი იმ საგმირო და სათაყვანო სამსახურისა, რომლის წყალობით ქვეყანა ქონება-გონებით აყვავდება და სულში ჩაისვამს თავის ამყვავებლებს სადიდებულად, და ნუ თუ ხალხის სიყვარულით აღსავსე ქება-დიდება და სახელის მოხვეჭის წყურვილი მაინც არ აღაფრთოვანებთ საკეთილოდ? მოიგონეთ, რომ სამშობლოს სიყვარულისათვის და სავაჟკაცო სახელის შეძენისათვის მეომარი შეუპოვარ ლომივით გულდაგულ გადადის ხმალ-ამოღებული ცეცხლის ომში, სადაც ათასი თოფ-ზარბაზანი გრგვინავს ხალხის საჟლეტად. თუ-კი საგმირო სახელის ძიებისათვის გამანიორწყლებელ თოფ-ზარბაზნებსაც არ უფრთხის ადამიანი, იქიდგან უფრო არ გაიქცევა და თავს არ შეირცხვენს, სადაც არც თოფ-ზარბაზნების ჰექვა და არც სისხლიანი ხმლები ირევა ბარბაროსებისა. დიაღ, როცა რომელსამე საქვეყნო ასპარეზზედ მშვიდობიანობის ტკბილი მყუდროება ჰმეფობს, იმ წმინდა სათაყვანო ალაგას უფრო მთლად გამოიჩენს ადამიანი გმირობას ღვთისგან მინიჭებულის მადლისას ქვეყნის საბედნიეროდ და თავის სასახელოდ. და თუ ვისმე ჰკუა-თხელს აცდენს მაცდური გულის თქმა მოძმის საორგულოდ, ჩვენც თავზედ ლაფს დავასხამთ იმისთანა უხასიათო ნამუსს გაწყვეტილს,

ლონეს ვიხმარ, რომ მასწავლებლის სამაგირო მთავრობამ გამოიღოსო. კრებამ ერთხმად მიიღო ბლაღოჩინის წინადადება, შეადგინა ანგარიში, თუ რა დასჭირდება ორკლასიანს სამაგალითო სამრეკლო სკოლასა, და ამოირჩია დროებით კომისია, რომელსაც მიანდო ამ აზრის გავრცელება რაჭის საზოგადოებაში და ხელის მოწყობის გამართვა საშუალების მოსაპოვებლად.

კომისიაში არიან: თ. ქ. ო. ყიფიანი, აზნაურნი კ, დ. ჩიკვაიძე, ს. კვიტაშვილი, გ. დ. ჩიკვაიძე, ა. ბ. წერეთელი, ბ. მ. მდივანი, ადგილობრივი ბოქაული და ბლაღოჩინი ნ. კანდელაკი. აქვე იქმნა გამოცხადებული, რომ თ. ქ. ყიფიანმა 400 მან. აღუთქვა მომავალს სკოლასაო. თ. ყიფიანს საზოგადოებამ მადლობა გამოუცხადა და იმასვე მიანდო კომისიის თავმჯდომარეობა.

ასე და ამ გვარად ჩაიყარა საძირკველი ამ კეთილის საქმისა და იმედია, ზემოდ მოხსენებულნი საპატიო კაცნი ყოველს ღონეს იხმარებენ მალე განახორციელონ ეს საქმე საზოგადოების თანაგრძნობით...

ამ კრებას დაესწრნენ აგრეთვე ნიკორწმიდაში საგარაკოდ მოსულნი თავადნი ალ. გ. და კ. დ. წულუკიძენი. იმედია, უკანასკნელნი, როგორც შთამომავალნი ძველს რაჭაში წარჩინებულ გვარისა, რომელსაც ასე სამაგალითოდ ულვაწნია ნიკორწმინდას ეკკლესიისათვის,რასაც ამტკიცებს ამ ეკკლესიაში ჯვარ-ხატებზედ წარწერანი, თავიანთ წინაპართ მაგალითს მიჰყვებიან და იზრუნებენ ნიკორწმინდის ტაძრის დიდების აღსადგენად.

სტუმარი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

მთელს რუსეთში ცნობილი მეფელეტონე ბ-ნი ბუკვა (ფსევდონიმია) სწერს სხვათა შორის გაზეთ „Новости“-ში.

გაზეთში დაბეჭდილი ცნობანი ხოლერის გაჩენიდგან 1 აგვისტომდე გარდაცვლილთა რაოდენობის შესახებ გვიჩვენებს, რომ ეს სენი კასპიის ზღვით გადმოვიდა რუსეთს. აქ ხოლერა იმ ადგილებში მძეინვარებდა, რომელიც უწინ დაუხვდა გზაზედ. ძლიერ დაზარალდნენ უზრუნველობისა და მოუმზადებლობის გამო ქალაქები: ბაქო, ასტრახანი, სარატოვი და სამარაც. სამარასა და სიმბირსკს შუა ხოლერას თითქოს ძალ-ღონე გამოელიაო. სიმბირსკსა, ყაზანსა და ნიჟნი-ნოვგოროდში ხალხი შედარებით ნაკლებად იხოცებოდა. დონის ოლქში ხოლერას კარგი ნიადაგი დაუხვდა და ძლიერაც გაინავარდა აქა. ხოლერა კარგა ხნით დაბინავდა ქალაქებში: როსტოვსა, ნახიჩევანსა და ტაგანროგში. ამ ხოლერიანობის დროს ტფილისი სამაგალითოდ მოიქცა. კავკასიაში ხოლერა ისე დასახლდა, როგორც საკუთარს სახლში და კარგი ნიადაგიც დახვდა იქა: შეჯგუფული ხალხი, უზრუნველობა და უსუფთაობა. კავკასიის ზოგიერთა ქალაქებში დღეში ასი და ორასი კაცი იხოცებოდა. ტფილისს გარშემო ხოლერა ხალხს მუსრს ადენდა. ტფილისი ხოლერიანთა ადგილებს შიგ შუაში მოექცა და ოთხსავე კუთხიდგან ემუქრებოდა, მაგრამ ტფილისი მაინც არ დაზარალდა, ხოლერამ თითქმის ხელის ხლებაც ვერ გაუბედა. მთელს ქალაქში სულ 175 კაცი გარდაიცვალა. რითი აიღსნება ეს გარემოება? საქმე იმაშია, რომ გაჩნდა თუ არა ხოლერა ბაქოში, ტფილისმა გამოიღვიძა და ყოველ გვარი საშუალება და ღონე იღონა ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად. ტფილისელები დაფაცურდნენ და მხნედ და ერთგულად, გონივრულად შეუდგნენ საქმეს და კიდევაც უკუ აქციეს მტერი. ამ გვარად, თუმცა ტფილისის გარშემო ხოლერა ძლიერა მძვინვარებდა, ტფილისი თავის თავად და საკუთარის მეცადინეობით გადარჩა საშინელს სენსა. ეს ანბავი ძლიერ საყურადღებოა და სამაგალითოც. აშკარაა, შესაძლებელი ყოფილა ხოლერის თავიდგან აცილება.“

ბაქოელებს ეხლაც-კი არა სწამთ ეს ჭეშმარიტება. ჩააბარეს ხოლერას 2,000 მცხოვრები და ახლა ისევ ისე შესტოპეს ნაგავსა და ტალახში. ხოლერამ თავი დაგვანება და ისევ უსუფთაობას მისცეს თავი. გაზეთი «Каспій» სწერს: „ბაქო ისევ უმზადებს ნიადაგს თავის საყვარელს სტუმარს — ხოლერას. ქუჩები ისევ ისე ივსება ნაგვით, მოედნები სავსეა საზამთროს ქერქებით, ყველგან გამოჩნდა უწინდელი უსუფთაობა და უწმინდურობა“. დიაღ, ბაქოს ხოლერამაც-კი ვერ ასწავლა ჭკუა ბაქოელებსა, ძლივს დაანება ხოლერამ თავი ამ ქალაქს და ბაქოელები ხელ-მეორედ ეპატიჟებიან: მობრძანდი, შენი ჭირიმე, ერთხელ კიდევ გვესტუმრე და თუ გვიკადრებ, სამუდამოდაც ჩვენთან დასახლდიო. რა ჰქმნან მაშ საცოდავებმა, თუ-კი უტალახოდ და უნაგვოდ ცხოვრება არ შეუძლიანთ!

## რუსეთი

პეტერბურგში 24—25 აგვისტოს ავად გახდა 138, გარდ. 34, მორჩა 62; ქ. კრონშტადში 23 აგვისტოს ავად გახდა 2; მთელს გუბერნიაში 24 აგვისტოს ავად გახდა 27, გარდ. 1, მორჩა 11.

მოსკოვში 23 აგვისტოს ავად გახდა 22, გარდ. 8, მორჩა 12; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 1, გარდ. 1, მორჩა 2.

ასტრახანში 23 აგვისტოს გარდ. 1, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 16, გარდ. 11, მორჩა 12.

ვლადიმერის გუბერნიაში 23 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდ. 1.

ვორონეჟში 23 აგვისტოს ავად გახდა 5, გარდ. 5, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 464, გარდ. 252, მორჩა 113.

ქ. ვიატკაში 23 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდ. 2.

ეკატერინოსლავში 23 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდ. 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 74, გარდ 27, მორჩა 80.

ყაზანში 22 აგვისტოს ავად გახდა 13, გარდ. 2, მორჩა 14; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 252, გარდ. 64.

კიევში 23 აგვისტოს ავად გახდა 29, გარდ. 13, მორჩა 6; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 29, გარდ. 10, მორჩა 5.

კოსტრომაში 22 აგვისტოს ავად გახდა 1, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 1, გარდ. 1, მორჩა 2.

კურსკში 23 აგვისტოს ავად გახდა 10, გარდ. 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 125, გარდ 46, მორჩა 49.

ლიუბლინში 23 აგვისტოს ავად გახდა 72, გარდ. 2, მორჩა 3, მთელს გუბერნიაში ავად გახდა 15, გარდ. 9, მორჩა 7.

ნიჟნი-ნოვგოროდში 24 აგვისტოს ავად გახდა 17, გარდ. 12, მორჩა 8; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 28, გარდ. 22, მორჩა 14.

ორენბურგში 23 აგვისტოს ავად გახდა 7, გარდ. 3, მორჩა 10; მთელს გუბერნიაში 21—22 აგვისტოს ავად გახდა 355, გარდ. 212, მორჩა 118.

ორიოლში 21 აგვისტოს ავად გახდა 1; მთელს გუბერნიაში 20—21 აგვისტოს ავად გახდა 25, გარდ. 11.

პენზაში 23 აგვისტოს ავად გახდა 27, გარდ. 10, მორჩა 23; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 89, გარდ. 14, მორჩა 21.

პერმში 23 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდ. 2, მორჩა 4; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 22, გარდ. 6.

რიაზანის გუბერნიაში 23 აგვისტოს ავად გახდა 71, გარდ. 42, მორჩა 31.

სამარაში 23 აგვისტოს ავად გახდა 13, გარდ. 1, მორჩა 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 171, გარდ. 51, მორჩა 92.

სარატოვში 23 აგვისტოს ავად გახდა 9, გარდ. 3, მორჩა 4; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 747, გარდ. 397.

სიმბირსკში 23 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდ. 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 32, გარდ. 18.

ქ. კერჩში და მაზრებში 23 აგვისტოს ავად გახდა 1, გარდ. 5.

ტამბოვის გუბერნიაში 23 აგვისტოს ავად გახდა 307, გარდ. 112, მორჩა 80.

ქ. ტვერში 23 აგვისტოს მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 2, გარდ. 1.

ქ. უფაში 23 აგვისტოს ავად გახდა 12, გარდ. 9, მორჩა 6; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 135, გარდ. 50.

ქ. ხარკოვში 23 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდ. 1. მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 80, გარდ. 28.

ხერსონის გუბერნიაში 23 აგვისტოს ავად გახდა 17, გარდ. 7, მორჩა 5.

ჩერნიგოვის გუბერნიაში 21—22 აგვისტოს ავად გახდა 54, გარდ. 7, მორჩა 59.

იაროსლავში 23 აგვისტოს ავად გახდა 18, გარდ. 6, მორჩა 8; ქ. რიბინსკში ავად გახდა 10, გარდ. 3, მორჩა 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 4, გარდ 3, მორჩა 4.

ეკატერინოდარში 23 აგვისტოს ავად გახდა 14, გარდ. 7; მთელს ოლქში ავად გახდა 161, გარდ. 91.

თერგის ოლქში 23 აგვისტოს ავად გახდა 68, გარდ. 26.

ტობოლსკში 23 აგვისტოს ავად გახდა 1, გარდ. 1.

ტომსკში 23 აგვისტოს ავად გახდა 8, გარდ. 12.

ომსკში 23 აგვისტოს ავად გახდა 23, გარდ. 14; სემიპალატინის ოლქში ავად გახდა 10, გარდ. 6.

ურალსკში 22—23 აგვისტოს ავად გახდა 43, გარდ. 17, მორჩა 6; მთელს ოლქში ავად გახდა 95, გარდ. 44, მორჩა 25.

იმიერ-კასპიის მხარეს 19 აგვისტოს ავად გახდა 57, გარდ. 11.

## წერილი რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ შემდეგი წერილი დაჰბეჭდოთ თქვენს გაზეთში.

სუთი წელიწადია, რაც ქალაქს ტომსკში გაიმართა უნივერსიტეტი. ფაკულტეტი ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთია, სახელდობრ სამკურნალო. თუმცა ტომსკი ძლიერ დაშორებული ქალაქია საქართველოზედ, ციმბირში იმყოფება, მაგრამ ქართველებისათვის მაინც უმნიშვნელო და უსარგებლო არ არის. აქაც დაიწყეს დენა ქართველმა ყმაწვილებმა უნივერსიტეტში სწავლის დასამთავრებლად. ჯერჯერობით თუმცა ქართველი სტუდენტები ძლიერ ცოტანი გვართ აქა, მაგრამ შემდეგში იმედია, ბლომად მოვიყრით თავს. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ აქაურს უნივერსიტეტში სწავლის ნება სასულიერო სემინარიის კურს დამთავრებულებსაც აქვთ მინიჭებული. ხოლო ტფილისის სასულიერო სემინარიაში უოველ წლივ ქართველი ყმაწვილი უფრო მეტი ამთავრებს სწავლას, ვიდრე საქართველოს ყველა გიმნაზიაში ერთად. თუ აქამდე ცოტანი გვართ აქ ქართველი

---

წავძახებთ რუსთაველის ნათქვამს: „ვგმობთ კაცსა უაგუოსა, ცრუსა და ლალატიანსა“, მივსცემთ მართლ-მსაჯულებას დასასჯელად საზოგადო ფულის გაფლანგვისათვის, იმ ერთი ნადირისაგან მოცემულ ზარალსაც გაუძლებს მრევლი და ორიოდე მგლის შიშით-კი ქვეყნის მაცხოვრებელს ცხვარს არ გავწყვეტამთ, რადგანაც ასეთი უმეცრული ლოგიკისათვის თვით თავქარიანი იდიოტებიც-კი გვიკიცინებენ და აჭია-ბაჭიას სახელოვანი პოეტები თავიანთ „პოეზიაში“ შეგვათრევენ.

დეპო-კასის თანხის ფულის მოწილეებს, როგორც მოგახსენეთ, წლიური სარგებელი მიეცემათ და ზარალში და მოგებაში-კი არა რომელი მონაწილეობა არ ექმნებათ. ზარალის პასუხის გამცემი მოგებიდგან შემდგარი სათადარიკო თანხა იქნება და თვით მრევლი, ვიდრე სათადარიკო თანხა დვრიტას დაიდებს. კაცს რომ მთელს სიცოცხლეში ყოველ წლივ გონება-ქონებით აყვავებდეს რომელიმე დაწესებულება—იმისთვის ორჯერადე ორიოდე მანათის დაკარგვა ლხინად უნდა მიაჩნდეს. სულელი იქნება ის მონადირე, რომელსაც ირმის მოკვლა ეწადოს და ორის გროშის ტყვია-წამალს-კი ვერ იმეტებდეს დასაწველად. „თუ ლხინი გვინდა უფლისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთო“, გვასწავლის სიბრძნის მოყვარე პოეტი. გავიხსენოთ ესეც, რომ მთელი სახელმწიფოების ავლა-დიდებას გარეშე კაცები აწარმოებენ და იმათშიაც გამოერევა ხოლმე თითო-ოროლა მგელი, მაგრამ იმათის შიშით ქვეყნის მეფენი თავიანთ ბანკებსა და ხაზინებს არა ჰკეტავენ. ამ უბრალო ჭეშმარიტებას იმისათვის მოგახსენებთ, რომ ჩვენში რომელიმე საზოგადო აღებ-მიცემის დაარსების დამთქნარების უმალვე ოთხფეხებიც-კი ენას აიდგმენ—და „შესჭამენო“ სეტყვასავით მოგაყრიან აქეთ-იქიდგან წარამარად, თითქოს ქვეყანა ჩალით იყოს დახურული, თითქოს ყველას სინიდისის ბეწვი გასწყვეტოდეს, კაცური კაცები აღარ მოიპოვებოდნენ და აღარავის ესმოდეს, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, ან: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“. არა, ნუ ვიქნებით წრეს გადასული უნდონი, მეტის-მეტი უნდობლობაც ისეთივე საზიზღარია, როგორც სიმუხთლე. „სიმუხთლე და უნდობლობა უგვანთა კაცთა წესია“—გვამხილებს შორს გამსჭვრეტელი პოეტი-ფსიხოლოგი; მაგრამ ზოგიერთს ადამიანს ქვეყნის ბრძენთა სიბრძნეც ვერ მოარჯულებს და მაინც თავისას გეტყვით: „შესჭამენო“, გეტყვით იმისთვის, რომ მელას რაც აგონდებოდა, ის ეზმანებოდაო, ნათქვამია ძველთაგანვე და არ გატყდება ეს თქმულება არასოდეს...

შეიძლება ესეც სთქვას ზოგიერთმა: დიდის შეძლების კერძო ვაჭრები მომაკვდინებელ კონკურენციას გაუწევენ დეპოებსო, მაგრამ დიდად უსაფუძვლო თქმა გახლდებათ, რადგანაც ხსენებულ სისტემის დეპო-კასების მოგებას ხალხის აყვავება ექნება საგნად და იმათთან კერძო ვაჭარ-ჩარჩები ფეხს ვერ გაიწვდიან ვერასოდეს, თუნდ დღე და ღამე ასე იყვირონ გაუწყვეტლივ: „ჰაი, აქეთ, მუშტრებო! აქეთ! აქეთ! იაფად და პირიანად!.. პაჰ, პაჰ, პაჰ! ერთი აქ უყურეთ! ერთი აქ უყურეთ, რა სამი ანტიკა ზაგრანიცის საქონელიაო“ და სხვა. მეორეც ეს, „რაგინ რომ ქერქი შეიძროს, გველი იგრევე გველია“—ეს კარგად იცის ხალხმა და როცა ლურჯი ანკარა წყარო ექნებათ, გუბეს აღარავინ დაეწაფება. და მესამეც ეს, თუნდ ცილობაც გაუწიონ კერძო ვაჭრებმა დეპოებს, ესეც დეპო-კასების მადლიანის წყალობით იქნება: ისინი რომ არა ყოფილიყვნენ, მგლები ტურებად არ იქცეოდნენ და ტურები—კატებად.

ეს-კი უეჭველია, რომ, როგორც ერთს დროს მათი ბრწყინვალებანი დარეჯან-ლუარსაბები მრისხანედ ეგებებოდნენ ბატონ-ყმობის მოსპობის ხმას და გულ-ამაყად გაიძახოდნენ: ღმერთსაც არ შეუძლიან ჩვენ ყმები ჩამოგვართვასო, ისეც ხსენებული დეპო-კასების აღორძინების დროს ქვეყნის ჭამია ვირეშმაკა ვაჭარ-ჩარჩები მოჰყვებიან ამ გვარ ტრაბახს: „ვა, ეეე! ინჩეს ასუმ, ტო?! მაშ თავს-ლა ვიცოცხლებთ ქვეყანაში, რომ იმათთანა პამპულა ნასწავლებმა ვაჭრობის კრიჭა შეგვიკრან?!. ვაჭრობა მოტყუებისაა და ღმერთს ასე გაუჩენია, რომ ვაჭრებმაც იცხოვრონო, და ის ემე—ტუტრუცანა პამპულები-კი გაიძახიან: ჩვენ უნდა უნიჩტოჟიტი ვუყოთ მოტყუებასო!.. ხა, ხა, ხა! აი ანტიქრისტემ გვთხოვოს იმათი ოხერტიალი თავ-ტანი, რაც იმათ ღვთის ბძანება ვერ გატეხონ და ჩვენს ხელობას ვერა დააკლონ-რა!.. ახარ, იმ ოხერ-მუნდრეგებმა ერთი ესეც თქონ, თუ რამდენი გილდის ფული შესდის ჩვენგან ხაზინას-და!.. განა ხელმწიფე ისეც გაგვიმეტებს, რომ გილდები აღარ ავიღოთ?! ვა, ეეე! აფრაკ! ვაიმე, ვაიმე, სადა ხარ, სად: ვაჭრების გილდის ფული არ აცხოვრებს მთელს ქვეყნიერობასაო?!“ დიაღ, ასე დაიტრაბახებენ მაშინ ერთმანეთის სანუგეშოდ და დაუწყებენ მოსისხლე მტრობას სახალხო დეპო-კასებს ჩვენი გაუთლელი ვაჭარ-ჩარჩები, რადგანცა იმათს ყურებს დღესაც არ მისწვდომია დიდებული რუსთაველის რვაას წლოვანი სიტყვები: „კაცო, ძალსა ნუ იკვეხი, ნუცა მოჰკვეხ ვითა მთვრალი, არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღვთისა ძალი, დიდთა ხეთა მოერევის მცირე დასწვამს ნაპერწკალი, ღმერთი გფარავს, სწორედ გაჰკვეთს, შეშა ვის ჰკრა, თუნდა ხმალი!“

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

სტუდენტები, ეს გარემოება იმითი აიხსნება, რომ ჯერ გზა გამოკვეთილი არა აქვთ ჩვენებურს ყმაწვილებს აქეთკენ: ეშინიანთ სიშორისა და ციმბირობისა, თუმცა სრულიად უსაფუძვლოდ-კი. აქ ცხოვრება ერთი ათად უფრო იაფია და ჭკუაც ერთი ორად უფრო სალი, ვიდრე მაგალითად მოსკოვსა და პეტერბურგში. ამიტომ მოსალოდნელია, რომ, როცა აქაურს ამბავს დაწვრილებით შეიტყობენ, ქართველი ყმაწვილები არაფერს დაერიდებიან და ბევრნი წამოვლენ სასწავლებლად.

ამასთანავე მივმართავთ ქართველს საზოგადოებას შემდეგის თხოვნით.

თითქმის ყოველს უნივერსიტეტში, სადაც-კი ქართველი ყმაწვილები სწავლობენ, დაარსებულია ქართული ბიბლიოთეკა. მნიშვნელობა ამ გვარის ბიბლიოთეკებისა ყველასათვის ცხადია და ამის გამო საჭიროდ აღარ ვრაცხთ იმისს განმარტებას. ტომსკის უნივერსიტეტთან და თვით ქალაქს ტომსკშიც ქართული წიგნი ამ ჟამად ერთი ცალიც არ მოიპოვება. საწლეულოდ განვიზრახეთ ქართულის ბიბლიოტეკის დაარსება, მაგრამ ჩვენის (სტუდენტების) ხარჯით ამ განზრახვის განხორციელება ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ ვთხოვთ ქართველს საზოგადოებას და განსაკუთრებით „წიგნების მბეჭდავს საზოგადოებას“ „წერა-კითხვის საზოგადოებას“ და ქართველს ავტორებსა, დაგვეხმარნენ და ხელი შეგვიწყონ ამ საქმეში.

ასეთისავე თხოვნით მივმართავთ ტფილისის ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს ქართულისას, სომხურისას და რუსულისას. („ივერია“, „ჯეჯილი“ და „Новое Обозрѣніе“ უკვე მოგვდის).

შეიძლება ზოგმა მოინდომოს ფულით შესყიდვა წიგნებისა და ისე გამოგზავნა. რომ ამ შემთხვევაში ერთისა და იმავე წიგნის გამოგზავნა არ მოუხდეთ სხვა-და-სხვათ, ამიტომ უკეთესი იქნება „ივერიის“ რედაქციას მიჰმართონ ხოლმე; იმედია, ივერიის რედაქცია არ დაიზარებს და აღნიშნავს ყოველთვის შემოწირულობასა და შემწირველის ვინაობას.

შემოწირულობა უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Въ г. Томскъ. Императорскій Томскій Университетъ. Студентамъ грузинамъ.

ქართველი სტუდენტები ტომსკის საიმპერატორო უნივერსიტეტისა.

## დეპეშა

31 აგვისტო

**ნიუ-იორკი.** ჩრდილოეთ ამერიკაში წელს პურის მოსავალი შარშანდელზედ 5—6%-ით ნაკლებია.

**გელსინგფორსი.** ხოლერიანობის გამო ფინლანდიის ზოგიერთა ქალაქებში წელს შემოდგომაზედ იარმუკობა აღარ იქნება.

1 სექტემბერი

**პეტერბურგი.** უმთავრესი მოგება მეორე შინაგან მომგებიან სესხისა ხვდა შემდეგ ბილეთებს:

| №№ სერ. | №№ ბილეთ. | მოგება. |
|---|---|---|
| 864 | 49 | 200,000 |
| 7,505 | 34 | 75,000 |
| 15,250 | 4 | 40,000 |
| 9,966 | 4 | 25,000 |
| 11,834 | 30 | 10,000 |
| 18,779 | 48 | 10,000 |
| 6,647 | 49 | 10,000 |
| 2,210 | 29 | 8,000 |
| 13,794 | 22 | 8,000 |
| 14,778 | 31 | 8,000 |
| 15,182 | 44 | 8,000 |
| 16,905 | 47 | 8,000 |
| 15,222 | 47 | 5,000 |
| 4,751 | 21 | 5,000 |
| 18,651 | 37 | 5,000 |
| 1,333 | 24 | 5,000 |
| 3,749 | 25 | 5,000 |
| 7,966 | 32 | 5,000 |
| 18,993 | 33 | 5,000 |
| 17,837 | 38 | 5,000 |
| 3,459 | 23 | 1,000 |
| 7,719 | 45 | 1,000 |
| 5,288 | 49 | 1,000 |
| 13,354 | 19 | 1,000 |
| 9,653 | 50 | 1,000 |
| 9,756 | 17 | 1,000 |
| 633 | 43 | 1,000 |
| 3,732 | 8 | 1,000 |
| 18,066 | 21 | 1,000 |
| 13,109 | 21 | 1,000 |
| 6,178 | 39 | 1,000 |
| 7,079 | 47 | 1,000 |
| 1,231 | 29 | 1,000 |
| 3,527 | 48 | 1,000 |
| 966 | 48 | 1,000 |
| 10,633 | 46 | 1,000 |
| 13,581 | 40 | 1,000 |
| 17,922 | 38 | 1,000 |
| 19,623 | 12 | 1,000 |
| 13,855 | 10 | 1,000 |

პეტერბურგის ბირჟა, 28 აგვისტო.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,86 | 7,89 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 157¼ | 158 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 236½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . . | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98,12 | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

15 სექტემბრიდამ ამა წლისა იქმნებიან წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯან-მრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს (მომრიგებელი მოსამართლეა ქალაქ თბილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრობა და სასოფლო-მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

სკოლაში მიიღებიან ისეთი მოზრდილი ყმაწვილებიც, რომელთაც სწავლა სხვა სასწავლებელში გაუთავებიათ და სურვილი აქვთ სასოფლო მეურნეობა შეისწავლონ და ფერმაში ივარჯიშონ.

შორის მხრიდგან მოყვანილ ყმაწვილებისთვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია ჯერ-ჯერობით თთვეში შვიდი მანათი. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით, შუადღისას საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი, თითო კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: ნახევარის წლის შესანახი ფული 42 მანათი პირველ სექტემბერს და მეორე ნაწილი, 42 მანათი, პირველ იანვრამდე. ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, მაშინ შეგირდი დათხოვნილ იქმნება სადგურიდგან და გაიგზავნება თავის მშობლებთან. ამისთვის მშობლებმა, მანამ შვილს მიაბარებენ სასწავლებელში, წინადვე სკოლაში უნდა შემოიტანონ ყმაწვილის გასაგზავნად ერთი თუმანი.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი. ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. უკეთუ ყმაწვილი სადგურიდგან მეორედ ფულის შემოტანის ვადამდე გავა, იმას შემოტანილი ფული უკან არ დაუბრუნდება და დარჩება სადგურს სასარგებლოდ.

შეგირდები, ხოლერის გამო დათხოვნილნი, უნდა გამოცხადნენ სკოლაში არა ადრე 14 სექტემბრისა, კარგად ჩაცმულ-დახურულნი, თან წამოიღონ საკმარისი ტანთსაცმელი და ზეწრები.




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

## ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით ვაზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირასიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეი გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—30)



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„ИВЕРИА“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე-და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.